

---

## ღირებულებების სტრუქტურა

1. კითხვარის შექმნის ისტორია და კითხვარის აღწერა:

### 1.1. შესავალი

კითხვარის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ქართულ საზოგადოებაში არსებული და მიღებული ღირებულებების სტრუქტურები. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხისადმი მიძღვნილ მსოფლიო ლიტერატურაში მრავლად შეგხვდებათ ღირებულებების კვლევების აღწერას, ყველა მათგანი ეჯახება მარტივ კითხვას, რომლიც შედარებითი სოციოლოგიიდანაა: მართალია, სხვადასხვა საზოგადოებებს ჩვენ ვეკითხებით ერთსა და იმავე და ადაპტირებულ კითხვებს, მაგრამ არის თუ არა ერთი და იგივე დასახელების ღირებულება სხვადასხვა საზოგადოებაში ერთი და იგივე კონოტაციის და სტრუქტურის მატარებელი? და ხომ არ შეიძლება სხვადასხვა საზოგადოებაში ერთი და იგივე დასახელების ღირებულებას სხვადასხვა (რადიკალურად განსხვავებული) შინაარსი ქონდეს?

ამ კითხვაზე პასუხი არ შეიძლება იყოს ერთმნიშვნელოვანი. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეშუშავებინა ინსტრუმენტი, რომლიც შესძლებდა ერთი საზოგადოების ფარგლებში ღირებულებების აგებულების დადგენას.

### 1.2. ამოსავალი თეორიული დაშვება

იმდენად, რამდენადაც ჩვენი კვლევის მიზანია გარკვეული სტრუქტურების (და არა განწყობების) დადგენა, მიზანშეწონილი ჩანს ფენომენოლოგიური სოციოლოგიის გამოყენება, უფრო კონკრეტულად ცოდნის სოციოლოგიის ლუკმან-ბერგერისეული ვერსიის.

როგორც ცნობილია, ცოდნის ფენომენოლოგიურ სოციოლოგიას ორი დაშვება უდევს საფუძვლად: 1. სოციალური რეალობის სტრუქტურა აიგე-

ბა სუბიექტური მნიშვნელობებისაგან; 2. სოციალური რეალობა წარამოდგენს სოციალური ფაქტების (ნივთების) ერთობლიობას.

ჩვენი კვლევისათვის შეიძლება გავაკეთოთ დაშვება, რომ სოციალური რეალობის სტრუქტურა აიგება ღირებულებებისაგან, რომლებსაც სუბიექტური მნიშვნელობები შეადგენენ;

არასწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ ღირებულებები სოციალური რეალობის ატომებს წარმოადგენენ - მაშინ მათი განსხვავება, თუნდაც ინტუიციურ დონეზე სხვადასხვა საზოგადოებაში და კულტურაში შეუძლებელი იქნებოდა.

რაკი ყველა ვთანხმდებით, რომ ღირებულებები სოციალური რეალობის (თუნდაც ერთ-ერთ) ნაწილებს წარმოადგენენ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ, ერთი მხრივ, ღირებულებები შედგებიან სუბიექტური მნიშვნელობებისაგან, რომლების მატარებლები საზოგადოების წევრები არიან, ხოლო, მეორე მხრივ, მათ, როგორც ნივთებს, გააჩნიათ გარკვეული სტრუქტურა.

იმისათვის, რომ სუბიექტური მნიშვნელობები გაზიარებულნი იყვნენ საზოგადოების წევრების მიერ, საჭიროა მათი რეიფიკაცია, ანუ, მათი გარეაღსრულება. აქედან გამომდინარე, ღირებულებები შედგებიან რეიფიცირებული სუბიექტური მნიშვნელობებისაგან.

რეიფიცირებული სუბიექტური მნიშვნელობების რაოდენობა ყოველ კონკრეტულ საზოგადოებაში პოტენციურად უსასრულოა, მაგრამ, რეიფიცირებულობის გამო - აქტუალურად სასრული. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ღირებულებები შედგებიან სასრული რეიფიცირებული სუბიექტური მნიშვნელობებისაგან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო მეტი სუბიექტური მნიშვნელობა მონაწილეობს კონკრეტული ღირებულების აგებაში, მით უფრო მნიშვნელოვანია (ძლიერი, განმსაზღვრელი) ის კონკრეტულ საზოგადოებაში. შესაბამისად, შეიძლება კონკრეტულ ღირებულებაში სუბიექტური მნიშვნელობების რაოდენობაზე დაყრდნობით საზოგადოებაში ღირებულებების იერარქია ავაგოთ.

ამავე დროს არ უნდა დაგვაბრკოლოს იმ ფაქტმა, რომ კონკრეტული ღირებულება შეიძლება მონაწილეობდეს სხვა კონკრეტული ღირებულების აგებაში როგორც რეიფიცირებული სუბიექტური მნიშვნელობა (მაგ. "ტრადიცია" "ოჯახში").

კიდევ ერთი საკითხი, რომლიც შეიძლება კვლევის მიზანი გახდეს, არის ღირებულებების და ინსტიტუტების კავშირი. ის, რომ ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტი ღირებულებაა, არ ინვესტ ეჭვს. საკითხავია, როგორია ის ღირებულება, რომელიც არ არის ინსტიტუტი?

იმისათვის, რომ დაგვედგინა კვლევის ძირითადი არე, ექსპერტებს შორის გამოკითხვის მეშვეობით შევიმუშავეთ იმ ძირითადი ღირებულებების/ინსტიტუტების სია, რომლებიც არსებობენ საქართველოში და რომელთა მიმართაც უნდა არსებობდეს გარკვეული საოზგაოდებრივი თანხმობა (ანუ, იყოს რეიფიცირებული). საკონტროლოდ სიაში ჩაერთო ისეთი ღირებულებებიც, რომლებიც, ექსპერტების უმრავლესობის აზრით, საქართველოში უკვე აღარ არსებობს, ან "ჯერ არ არსებობს") - მაგ. კოლექტივიზმი, კულტურული მრავალფეროვნება.

ამ ე.წ. საკონტროლო ღირებულებების ჩართვის მიზანი იყო დაგვედგინა არა-რეიფიცირებული ღირებულებების სია შემდგომი მეთოდით: თუკი ჩვენთვის უკვე ცნობილი, არარეიფიცირებული ღირებულებები გამოიკვეთებოდნენ, როგორც გარკვეული სტრუქტურის მატარებელი, შემდეგ ჩვენ შეგვეძლებოდა მსგავსი სტრუქტურის ღირებულებებზე გვევარაუდა იგივე, ანუ, მათი არარეიფიცირებულობა .

შედეგად, შემუშავდა შემდეგი სია (ბოლდით არის მონიშნული იმ ინსტიტუტების სია, რომლებიც, ექსპერტთა საერთო მოსაზრებით, არ არიან რეიფიცირებული ქართულ საზოგაოდებაში):

1. ადამიანის უფლებები
2. არა-მართლმადიდებლური ეკლესიები
3. ახალი ტექნოლოგიები
4. ბუნების დაცვა
5. განათლების სისტემა
6. დასვენების/გართობის შესაძლებლობა
7. ეკონომიკური სისტემა
8. თავისუფალი ასოციაციები/გაერთიანებები
9. თავისუფალი სექსი
10. თქვენი სამუშაო
11. კანონმდებლობა
12. კანონმორჩილება

13. კერძო ბიზნესი
14. კერძო საკუთრება
15. კოლექტივიზმი
16. კულტურული მრავალფეროვნება
17. მართლმადიდებელი ეკლესია
18. მეგობრობის ინსტიტუტი
19. მთავრობა
20. ნათესაობა
21. ოჯახი
22. პარლამენტი
23. პატრიოტიზმი
24. პიროვნული თავსუფლება
25. პოლიტიკური პარტიები
26. პოლიცია
27. რელიგიურობა
28. სამართლიანობა
29. სამშობლოსათვის თავგანწირვა
30. სასამართლო სისტემა
31. სასჯელალსრულებითი სისტემა
32. სახელმწიფო
33. სკოლა
34. ტრადიციები
35. უნივერსიტეტი
36. ქალიშვილობის ინსტიტუტი
37. ქველმოქმედება
38. შეიარაღებული ძალები
39. შემწყნარებლობა

### 1.3. კითხვარის ფორმულირება:

ეს ერთი შეხედვით რთული საფუძველი კითხვარში მარტივად ითარგმნება. ანუ, ღირებულების შემადგენელი სუბიექტური მნიშვნელობების

.....

გამოვლენა შეიძლება კითხვით: როგორ ფიქრობთ, ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელია მნიშვნელოვანი საქართველოში (ღირებულების სახელი, მაგ. "ოჯახი")-ს არსებობისათვის? (გთხოვთ მოახდინოთ ამ მნიშვნელობის შეფასება 7 ქულიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს "ძალიან მნიშვნელოვანი", ხოლო 7-"სრულიად უმნიშვნელო").

#### 1.4. კითხვის მაგალითი:

იგივენაირი კითხვები შემუშავდა სიაში მყოფ ყველა ღირებულება/ინსტიტუტზე.

შესაბამისად, მივიღეთ 39 კითხვიანი კითხვარი.

#### 1.5. გამოკითხვის მეთოდოლოგია

- კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით შინამეურნეობებში 2006 წლის აგვისტოს თვეში
- გამოკითხა 18+ ასაკის 1100 რესპონდენტი, 125 შერჩევის წერტილში
- შერჩევის ბაზად გამოყენებულია საქართველოს მოსახლეობის აღწერის 2002 წლის მონაცემები.

რეგიონი	რაოდენობა	პროცენტი
თბილისი	270	24,5
კახეთი	100	9,1
შიდა ქართლი	80	7,3
ქვემო ქართლი	120	10,9
სამცხე-ჯავახეთი	50	4,5
აჭარა	105	9,5
გურია	30	2,7
სამეგრელო	110	10,0
იმერეთი	205	18,6
მცხეთა—მთიანეთი	30	2,7
სულ	1100	100

### 1.6. მონაცემების სანდოობა

შერჩევის მთელი მოცულობა ქალაქის რაიონებში გადანაწილდა ისე, რომ ცდომილების მაქსიმალური სიდიდე თბილისის ერთიანი მონაცემებისათვის არის 2–3 პროცენტის ფარგლებში, რაიონული დაყოფით მიღებული ცვლადებისათვის 4–5 პროცენტი, 95 პროცენტიანი საიმედოობით.

### 1.7. შერჩევის პროცედურა

შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმადგენდა სააღწერო უბანი. სააღწერო უბნების შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევა (რობაბილიტე როპორტიონალ ტო შიზე) მეთოდის გამოყენებით. ყოველ შერჩეულ კლასტერში ინტერვიუერს განესაზღვრა საწყისი წერტილი და მოძრაობის მიმართულება. შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენდა ოჯახი. ოჯახების შერჩევა განხორციელდა ე.წ. “შემთხვევითი ხეტილის” მეთოდით. შერჩევის საბოლოო ერთეულს წარმოადგენდა რესპონდენტი. რესპონდენტი ოჯახში შეირჩა ასაკობრივი ნიშნით (ქვოტით).

### 1.8. კითხვარის ანალიზის ინსტრუმენტი

გამოკითხვის და შედეგების დამუშავების შედეგად მივიღეთ სიები, სადაც აღნიშნული იყო რესპონდენტების მიერ ყოველი ქვეკითვაზე პასუხის მოცულობა და ამავე დროს - პასუხისაგან თავშეკავების პროცენტი ყოველ კონკრეტულ ქვეკითხვასთან მიმართებაში:

#### magal i Tad:

კითხვა: როგორ ფიქრობთ, ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან, რომელია მნიშვნელოვანი საქართველოში განათლების სისტემის გამართული და სწორი ფუნქციონირებისათვის?

(საშუალო შეფასება 7 ქულიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს “ძალიან მნიშვნელოვანი”, ხოლო 7-“სრულიად უმნიშვნელო”)

სკოლა	1.6
უნივერსიტეტი	1.7
სახელმწიფო	2.1
მთავრობა	2.4
ეკონომიკური სისტემა	2.5
ტრადიციები	2.5
მართლმადიდებლური ეკლესია	2.6
კანონმდებლობა	2.6
ახალი ტექნოლოგიები	2.7
სამართლიანობა	2.9
კანონმორჩილება	3
პიროვნული თავისუფლება	3
რელიგიურობა	3
პარლამენტი	3
პატრიოტიზმი	3.2

”მიჭირს პასუხის გაცემა” - პროცენტი პასუხების ერთობლიობიდან – 6.6 %

ჩვენ გადავწყვიტეთ ღირებულების/ინსტიტუტის სტრუქტურის განხილვისას მხედველობაში მიგელო ”მნიშვნელოვანი და ძალიან მნიშვნელოვანი” პასუხები. ანუ, შკალაზე მოხვედრილი ღირებულებების ელემენტები (სუბიექტური მნიშვნელობები) 3-ის ჩათვლით და ზემოთ არ ჩაგვეთვალა სტრუქტურის მდგენელებად. თუკი ცხრილებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ როგორც წესი, 3 და 3-ის ზემოთ პასუხებში რესპოდენტები თითქმის სრულიად ერთ აზრზე დგანან.

შესაბამისად, გამომდინარე ზემოდთქმულიდან, თუკი მოგვინდება საქართველოში ღირებულება/ინსტიტუტის ”განათლებლის” სტრუქტურის დადგენა, მოყვანილი ცხრილიდან გამომდინარე, მივიღებთ, რომ განათლების ღირებულება შედგება შემდეგი სუბიექტური მნიშვნელობებიდან: სკოლა, უნივერსიტეტი, სახელმწიფო, მთავრობა, ეკონომიკური სისტემა, ტრადიციები, მართლმადიდებლური ეკლესია, კანონმდებლობა, ახალი ტექნოლოგიები, სამართლიანობა.

ანუ, ეს მდგენელები აკონსტრუირებენ განათლების სისტემას საქართველოს საზოგადოების წევრების თავებში.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხზე უარის თქმის დაბალი პროცენტი ის ინდიკატორია, რომელიც მიუთითებს ამ ღირებულების რეიფიცირებულობას საზოგადოებაში.

მაგრამ, გარდა ამ "სტანდარტული" ტიპისა, პასუხების დამუშავების შედეგად მივიღეთ სტრუქტურები, რომლებზეც "უარის თქმა" მინიმალურია, რაც ნიშნავს, რომ ღირებულება რეიფიცირებული უნდა იყოს, მაგრამ, მნიშვნელობის შკალური განსხვავება მდგენელებს შორის ძალიან მცირეა და მერყეობს 2-დან 5.4-მდე. მაგალითად, ადამიანის უფლებების ინსტიტუტის შემთხვევაში, 2-დან 3-მდე განლაგდნენ ისეთი მდგენელები, როგორებიცაა: კანონდებლობა, სამართლიანობა, მართლმადიდებელი ეკლესია, განათლების სისტემა, სახელმწიფო, კანონმორჩილება, პიროვნული თავისუფლება, ტრადიციები, რელიგიურობა, სკოლა, ეკონომიკური სისტემა, ოჯახი, უნივერსიტეტი, სასამართლო სისტემა, კერძო საკუთრება, მთავრობა, კერძო ბიზნესი, დასვენების შესაძლებლობა, მეგობრობა, ნათესაობა, პარტიოტიზმი. ხოლო, 3-დან 4-მდე- ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა შემწყნარებლობა, სამშობლოსათვის თავგანწირვა, პოლიცია, სასჯელალსრულებითი სისტემა, ბუნების დაცვა, კულტურული მრავალფეროვნება, თავისუფალი ასოციაციები, პოლიტიკური პარტიები, ქალიშვილობის ინსტიტუტი. ასეთი ტიპის ღირებულებებია: ადამიანის უფლებები, ეკონომიკური სისტემა, სამუშაო ადგილი, მეგობრობის ინსტიტუტი, მთავრობა, სახელმწიფო, პარტიოტიზმი. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტების უარის თქმის პროცენტი ამ ღირებულებების შემთხვევებში ძალიან მცირეა, ეს ინსტიტუტები-ღირებულებები ძალიან გადღაბნილნი და ყოვლისმომცველნი არიან. ასეთ ღირებულებებს შეიძლება "ტოტალური ღირებულებები" ვუწოდოთ.

გამოიყო მესამე ტიპის ღირებულებების ჯგუფი, რომლებზეც მნიშვნელობის შეფასებაც გაურკვეველია - ფაქტიურად არ გამოიყო პრიორიტეტები, თანაც - პასუხზე უარის თქმის საშუალო პროცენტი ძალიან დიდია (8-დან 14 %-მდე) - ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი ამ ღირებულებაზე და ის არც განიხილება, როგორც რაიმე-



ნაირად რეიფიცირებული და შესაბამისად, რაიმე ოპერაციული სისტემის ნაწილი: ასეთი ღირებულებებია: ქველმოქმედება, შემწყნარებლობა, ქალიშვილობა, სამართლიანობა, პოლიტიკური პარტიები, კოლექტივიზმი, პიროვნული თავისუფლება, კულტურული მრავალფეროვნება, თავისუფალი ასოციაციები, თავისუფალი სექსი, არა-მართლმადიდებლური ეკლესიები.

თუმცა ეს ღირებულებები, როგორც მდგენელები, გვხვდება სხვადასხვა ღირებულებების კონსტრუირებაში. ამ შემთხვევაში შეგვიძია ვთქვათ, რომ ეს ღირებულებები მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობების სახით არსებობენ და მათ რეიფიკაცია არ ხდება.

შესაბამისად, მივიღეთ ღირებულებების სამი ჯგუფი:

1. რეიფიცირებული ღირებულებები, ანუ, რომლებიც ინსტიტუციონიზირებულნი არიან, და მაშასადამე გვევლინებიან საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების საშუალება - ორიენტირებად ;
2. ტოტალური ღირებულებები , რომლებიც რეიფიცირებულნი არიან, მაგრამ მათი სტრუქტურები იმდენად ყველგანმყოფნი არიან, რომ საზოგადოების წევრი მათ ყოფნას აღიქვამს როგორც კონსტანტას - ისინი ყველაზე უფრო აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების ცხოვრებაში და ამავე დროს მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ რეიფიცირებული ღირებულებების კონსტრუირებაში, როგორც სუბიექტური მნიშვნელობები და სუბიექტური მნიშვნელობის კონსტრუირებაში, როგორც მაკონსტრუირებელი ელემენტები;
3. სუბიექტური მნიშვნელობები - ღირებულებები, რომლებიც მხოლოდ ტექსტური, ან ვერბალური სახით არსებობენ, და მნიშვნელობენ მხოლოდ როგორც სხვა ღირებულებების/ინსტიტუტების მდგენელები - არ ასრულებენ განმსაზღვრელ-მაორიენტირებელ როლს ყოველდღიურ ყოფაში .

meTodol ogi uri daskvnebi :

1. ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავდა საზოგადოების სისტემაში ღირებულებების სამი ტიპის კონცეფცია: რეიფიცირებული და ტოტალური ღირებულებები და სუბიექტური მნიშვნელობები;
2. კვლევის შედეგად შემუშავდა ღირებულების აგებულების დადგენის მეთოდოლოგია: სტანდარტული სიზუსტით, რაც დამოკიდებულია კვლევის მოცულობაზე და რესურსებზე, შეგვიძლია დავადგინოთ ყოველი სამიზნე ღირებულების მაკონსტრუირებელი ელემენტების რაოდენობა და მათი "ნილი" კონკრეტული ღირებულების კონსტრუირებაში;
3. ამ კონცეფციამ და კვლევის მეთოდოლოგიამ საშუალება უნდა მოგვცეს "უდანაკარგოდ" შევადაროთ ერთმანეთს საზოგადოებები და გავიგოთ თითოეული სამიზნე ღირებულების კონსტრუქციები (მათი შემადგენელი სუბიექტური მნიშვნელობები): ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს არ მოვექცეთ ღირებულებების შესახებ სტანდარტული კითხვარების "ცუდ წრეში": როდესაც ვუშვებთ, რომ ორ სხვადასხვა საზოგადოებაში ერთსა და იმავე ვერბალურ კონსტრუქტს ერთი და იგივე შინაარსი აქვს;
4. ეს მეთოდოლოგია მრავალრიცხოვანი განზოგადებების და დასკვნების საშუალებას იძლევა:
  - ა) შესაძლებელია ყოველ ცალკეულ საზოგადოებაში ამ სამი ტიპის ღირებულებებს შორის დამოკიდებულებების დადგენით მოხდეს საზოგადოებების ტიპების განსაზღვრა;
  - ბ) შესაძლებელია სამიზნე ღირებულების სტრუქტურის დადგენა შევუსაბამოთ საზოგადოების ტიპს, და დროში მიყოლებული კვლევების საშუალებით მოვახდინოთ მათი ცვლილების შედარება;
  - გ) მსგავსი მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნეს მარკეტინგში, კამპანიების დაგეგმვისას და პოლიტიკურ პროგრამებში - დასახული მიზნების მიღწევის ოპერაციონალიზაციისათვის;

---

## დასკვნები საქართველოს საზოგადოებისათვის:

რამდენადაც არ გაგვაჩნია სხვა საზოგადოებების მსგავსი გამოკვლევა, მხოლოდ ზოგადი მინიშნებებით და ვარაუდით შეიძლება შემოვიფარგლოთ:

დასაწყისისათვის შეიძლება გამოვთვათ ვარაუდი, რომ საზოგადოებები უნდა განსხვავდებოდნენ მათში ტოტალური, რეიფიცირებული და სუბიექტური მნიშვნელობების რაოდენობით და ურთიერთმიმართებით. შესაბამისად, რაც უფრო ცოტაა ტოტალიტარული ღირებულება, მით უფრო მეტია საზოგადოებაში თავისუფლების ხარისხი. თუმცა, ტოტალიტარული (პრე-ინდუსტრიული) საზოგადოება შეიძლება დახასიათდეს, როგორც სისტემა, რომელშიც ცოტაა ტოტალური ღირებულება და საერთოდ არ არის რეიფიცირებული ღირებულებები (ანუ, მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობები - იმდენად, რამდენადაც ტოტალური ღირებულებების მატარებლები აკონტროლებენ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს). შესაბამისად, პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში (გამომდინარე ქსელების და კავშირების სიმრავლიდან) ძალიან ცოტა უნდა იყოს სუბიექტური მნიშვნელობები და მთელი ღირებულებათა სისტემა უნდა შედგებოდეს მცირე რაოდენობის ტოტალური ღირებულებებისაგან და დიდი რაოდენობის რეიფიცირებული ღირებულებებისაგან. ინდუსტრიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს მრავალი ტოტალური ღირებულება, და შესაძებელია დაახლოებით ერთი რაოდენობის რეიფიცირებული ღირებულებები და სუბიექტური მნიშვნელობები.

თუკი საზოგადოების იდეალურ ტიპებს ასე შევხედავთ და გავიზიარებთ ამ ჰიპოთეზას, საქართველოში მივიღებთ საზოგადოებას, რომელსაც აქვს ერთსა და იმავე დროს პოსტ-ინდუსტრიულ-წინა-ინდუსტრიულის (მცირე რაოდენობის ტოტალური ღირებულებები), და ინდუსტრიული საზოგადოების ნიშნები (დაახლოებით ერთი რაოდენობის რეიფიცირებული ღირებულებები და სუბიექტური მნიშვნელობები).

\* \* \*